

# მწვანე ალტერნატივას განცხადება 2014 წლის 17 მაისს დარიალის ხეობაში განვითარებულ სტიქიურ პროცესებთან დაკავშირებით

19 მაისი, 2014

2014 წლის 17 მაისს, ყაზბეგის რაიონში, დარიალის ხეობაში დევდორაკის ხეობიდან ჩამოწოლილ მეწყერს მსხვერპლი მოჰყვა, არიან დამავებულებიც, განადგურდა საქართველოს სამხედრო გზის მონაკეთი. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მეწყერმა ერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ხოლო 7 პიროვნება დაკარგულად ითვლება. დარიალ-ჰესის სადერივაციო გვირაბში, სადაც მეწყერის ჩამოწოლის მომენტში მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები, მოყოლილია რამდენიმე პირი.

უპირველეს ყოვლისა, ვუსამძიმრებთ დაღუპულის ოჯახს და იმედს გამოთქვამთ, რომ მოხერხდება დაკარგული ადამიანების უვნებლად გადარჩენა.

სამწუხაროდ, ამ დღეებში მედიით ვრცელდება საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა დეზინფორმაციული განცხადებები, თითქოს გარემოსდამცველები დევდორაკის მყინვარიდან ჩამოწოლილი მეწყერის მიზეზად დარიალის ხეობაში მშენებარე ჰესებს ასახელებენ. ასეთი განცხადებებით ისინი ცდილობენ მიჩქმალონ ამ პროექტების დამტკიცებისა და განხორციელების პროცესში მიღებული მთელი რიგი უპასუხისმგებლო და შესაძლოა, კორუფციული გადაწყვეტილებები. ჩვენი ორგანიზაცია მიუთითებდა იმ პრობლემებზე, რაც შეექმნა ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას ამ სტიქიური უბედურების შედეგად, არასრულყოფილად ჩატარებული გზშ-სა და კანონდარღვევით გაცემული ნებართვების გამო.

მწვანე ალტერნატივა არაერთხელ აღნიშნავდა, რომ დარიალ-ჰესისა და ლარსი-ჰესის მშენებლობის ნებართვებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების გაცემის პროცესში უგულველყოფილი იქნა არაერთი გარემოსდაცვითი საკითხი. გარდა იმ პრობლემებისა, რომელიც ემუქრება ქვეყნის ბიომრავალფეროვნებას, ბუნებრივ და სოციალური გარემოს ამ პროექტების შედეგად, ჰესების დაპროექტებისას არ იქნა ჯეროვნად გათვალისწინებული ის საფრთხეები, რომლებიც მოელოდა ენერგეტიკულ ობიექტებსა და იქ დასაქმებულ ადამიანებს უარყოფითი გეოლოგიური პროცესების შედეგად.

ლარსი-ჰესის სათავე ნაგებობა და დარიალ-ჰესის სადერივაციო გვირაბის პორტალი განთავსებულია მდინარეების დევდორაკის (იგივე ამალის) და თერგის შესართავთან. მდ. დევდორაკი სათავეს იღებს მყინვარ დევდორაკიდან. ეს მყინვარი ცნობილია კავკასიაში როგორც ჰიფსომეტრიულად ყველაზე დაბლა მყოფი. იგი შედის დაკიდული მყინვარების რიგში, იმპულსურია, და მისი მოწყვეტას კატასტროფა უკავშირდება. მათ შორის აღსანიშნავია 1832 წელს მომხდარი კატასტროფა, როდესაც დევდორაკის მყინვარიდან უდიდესი სიჩქარით დამრულმა ყინულმა

და ქვალორღმა სამი დღით გადაკეტა თერგი, შემდეგ მდინარემ ჩახერგილი გაარღვია და ვლადიკავკაზი დატბორა. მწინვარიდან მოწყვეტილი ყინული შვიდი წელი დნებოდა. ამ პერიოდში გაკეთდა შემოვლითი საურმე გზა, რომელიც დღესაც კარგად ჩანს კლდეზე, 17 მაისს ჩამოწოლილი ზვავის დონეზე. 2006 წელს დევდორაკიდან ჩამოწოლილმა მეწყერმა ადამიანი იმსხვერპლა. აღსანიშნავია, რომ დევდორაკთან დაკავშირებული საშიშროების შესახებ მხოლოდ ახლა საუბრობენ როგორც ჰესის მშენებელი კომპანიის<sup>1</sup>, ისე გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებიც, თუმცა, ამ საკითხს მათ ყურადღება არ მიაქცევს, როდესაც ამ საფრთხეებზე ვსაუბრობდით როგორც ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული განხილვების დროს, ისე ამ ნებართვის გაუქმების მოთხოვნით წარმართულ სასამართლო პროცესებზე.

ჰესების მშენებარე კომპანიის ხელმძღვანელი ლაშა იორდანიშვილი აცხადებდა, რომ დაპროექტების დროს ყველანაირი საფრთხე გათვლილი ქონდათ<sup>2</sup>. თუმცა, საკონსულტაციო კომპანიების „გამასა“ და „შტუკი კავკასიის“ მიერ მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი ისე დამტკიცდა და ისე დაიწყო პროექტის განხორციელება, რომ არასათანადოდ იყო შესწავლილი მდინარე თერგისა და მისი შენაკადების ჰიდროგეოლოგიური რეჟიმი. დარიალჰესის გზმ ანგარიშში მხოლოდ რამდენიმე სიტყვით იყო მოხსენიებული „ჰესის მშენებლობისათვის შერჩეულ მონაკვეთში მდ. თერგს გააჩნია სამი ძირითადი შენაკადი (მდ.მდ. ჩხერი, დევდორაკი და ხდისწყალი), რომლებიც მყინვარული მდინარეებია, აქვთ დიდი ვარდნა, ხასიათდებიან მნიშვნელოვანი ნატანით (უპირატესად ლოდების სახით) და ინტენსიური წვიმებისა და თოვლის დნობის პერიოდში გამოირჩევიან ღვარცოფული დინებით“. ღვარცოფული პროცესების გააქტიურება მოსალოდნელია დევდორაკი-ამალის, კისტინკას, ყუროს, ქაბარჯინას, ბიდარას ხეობებში და თრუსოს ხეობაში. მეწყერული პროცესები შეზღუდული გავრცელებით სარგებლობენ. ჰესის მშენებლობისათვის შერჩეული მონაკვეთის ჰიდროლოგიური თავისებურებები, განაპირობებს ისეთი საშიში გეოდინამიკური პროცესების და სტიქიური მოვლენების განვითარების მაღალ რისკებს, როგორცაა კლდეზვავი, ზვავი, ეროზიები, შვავი, ღვარცოფი, წყალმოვარდნა, მდინარის ნაპირების წარეცხვები და შესაბამისად საავტომობილო გზისა და ხიდების დაზიანება და სხვა. მდინარე თერგის საშუალო წლიური ხარჯის მონაცემები ეყრდნობოდა მხოლოდ 1928-1940 და 1953-1986 წლების დაკვირვების შედეგებს (არ არსებობს უკანასკნელი 25 წლის მონაცემები). გარდა ამისა, მდ. თერგის მყარი ხარჯის (მყარი და ფსკერული ნატანის) შესახებ გათვლები ეფუძნებოდა მხოლოდ 1928-1940 წლების მონაცემებს. საერთოდ არ ყოფილა წარმოდგენილი თერგის შენაკადების, საშუალო წლიური ხარჯისა და მყარი ხარჯის მონაცემები. კლიმატის ცვლილების შედეგად მყინვარების დაჩქარებული დნობით გამოწვეული წყლისა და მყარი ნატანის ხარჯის ცვლილების საკითხი ასევე არ იქნა გათვალისწინებული ჰესის პროექტის შემუშავებისას<sup>3</sup>. გზმ ანგარიშში არანაირი ეჭვი არ იყო შეტანილი, თუ რამდენად სწორად იყო შერჩეული ჰესების განთავსების ადგილი. ანგარიშში პირდაპირ ეწერა, რომ „ჰესის ოპერირების პროცესში საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკი მინიმალურია“.

დარიალის ხეობაში დაგეგმილი პროექტების მომხრეები და სამინისტროს ექსპერტები არ იზიარებდნენ ჩვენს შეფოტებას. მაგალითად, ომარ ქუცნაშვილი წერდა, რომ „ნიშანდობლივი და მისასალმებელია ისიც, რომ აღნიშნული ობიექტები (იგულისხმება დარიალ-ჰესი, ლარსი-ჰესი და ყაზბეგი-ჰესი) დაპროექტებულია თანამედროვე უმაღლესი სამშენებლო ტექნოლოგიების და სტანდარტების გათვალისწინებით. პროექტები სრულად ითვალისწინებენ ადგილობრივ ბუნებრივ და ტექტოგენურ პირობებს. ადეკვატურად და ობიექტურადაა შეფასებული აღნიშნული ჰესების მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედება“.

გეოლოგიური საშიშროების მართვის დეპარტამენტის, გეოეკოლოგიურ გართულებებზე რეაგირების სამმართველოს წარმომადგენლის დასკვნა "დარიალჰესის" პროექტზე მხოლოდ სამი სიტყვისგან შედგებოდა: „არ მაქვს შენიშვნები“. რაც შეეხება საექსპერტო კომისიის თავმჯდომარის თეიმურაზ ტბელიშვილის სამი წინადადებით შედგენილ დასკვნას, მისი ძირითადი შენიშვნა ეხება იმას, რომ მდინარეთა დასახელებებში უზუსტობებია დაშვებული. მორიდებულადაა ნახსენები, რომ ხდისწყალი და ყუროსწყალის საშიში ღვარცოფული ხასიათი არ არის ასახული გზმ დოკუმენტში. მხოლოდ ეს გარემოება იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ასეთ პროექტზე დადებითი

<sup>1</sup> იხ. <http://goo.gl/PaliPu> ვვირის პალიტრა, ინტერვიუ მშენებლობის მენეჯერთან სულხან გაბრიჭიძესთან

<sup>2</sup> იხ. <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=10926>

<sup>3</sup> იხ. [http://www.greenalt.org/webmill/data/file/fact\\_sheet\\_re\\_Dariali\\_hpp\\_July\\_2012.pdf](http://www.greenalt.org/webmill/data/file/fact_sheet_re_Dariali_hpp_July_2012.pdf)

<sup>4</sup> ციტატა ყაზბეგი-ჰესის გზმ ანგარიშზე წარდგენილი დასკვნიდან

ეკოლოგიური დასკვნა არ გაცემულიყო, მაგრამ სამინისტრო ასე არ მოიქცა და დაჩქარებული წესით გასცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ინვესტორს დაევალა ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმის წარდგენა. მას ასევე პერიოდულად უნდა ჩაეტარებინა პერსონალის ინსტრუქტაჟი და ტრენინგი უსაფრთხოების საკითხებზე. უნდა შეემუშაებინა ავარიული სიტუაციებისადმი მზადყოფნის გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა მასშტაბურ ავარიებთან დაკავშირებული საფრთხეები და ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა, ჰქონოდა ევაკუაციის გეგმა, პერსონალის პირადი დაცვის და საკომუნიკაციო საშუალებები (ტელეფონი, ფაქსი), ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება განსაზღვრული ყოფილიყო შესაბამის ინსტრუქციებში. ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია ნებართვების ამ პირობების შესრულების მდგომარეობა.

სამწუხაროდ, შესაძლებელია ისევ განმეორდეს სტიქიის შემოტევა დევდორაკიდან. თუმცა, ეს არ არის ერთადერთი ღვარცოფული მდინარე, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს ამ პროექტის განხორციელებისათვის. ანალოგიური საშიშროებაა მოსალოდნელია ყუროსგან და ჩხერისგან - სწორედ ამ მდინარეების შერთვის ადგილას არის დაგეგმილი „დარიალჰესის“ კაშხალის, სალექარისა და სათავე ნაგებობის აშენება. მდ.ყურო ზვავების მიერ დაგროვილ მასალას განსაკუთრებით ინტენსიურად ჟღინთავს წყლით, გადააქცევს ღვარ-ცოფად და სელური ნაკადის სახით მიაქანებს მდ. თერგისაკენ. ყუროს მიერ წარმოქმნილი სელური ნაკადი გზად ყველაფერს ანადგურებს, მის მიერ ერთჯერად ჩამოტანილი მასალა ასეულობით კუბურ მეტრს შეადგენს, რომელსაც არაერთხელ გადაუკეტავს თერგი. ყუროდან სელური ნაკადების გამოსვლა წელიწადში რამდენჯერმე ხდება.

პროექტის დამტკიცებული სახით განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა განვითარდეს შემდეგი პროცესები: თერგის მიერ თავისი მრავალრიცხოვანი შენაკადებიდან წამოღებული ნატანი დაგროვდება ყუროს და ჩხერეს შესართავებთან, რაც გამოიწვევს თერგის კალაპოტის აწევას. ღვარცოფული მდ. ყურო თავის ჩამოტანილ მასალას ველარ გაატანს თერგს, იგი დაგროვდება, გამოავსებს ისედაც ვიწრო ყუროს ხეობას, რის შედეგადაც დაბა სტეფანწმინდა, რომელიც მდ. ყუროსა და მის სამხრეთით მდებარე ორი ხევის მიერ შექმნილ გამოზიდვის კონუსზე მდებარეობს. საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. თერგის მარჯვენა შენაკადის - ყუროს მსგავსად, იგივე პროცესები იქნება მდ. ჩხერიც მიმართებაშიც, რომელიც იმავე ადგილას, მარცხნიდან უერთდება თერგს.

**17 მაისს განვითარებულმა სტიქიურმა მოვლენამ ნათლად გვაჩვენა, თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოიტანოს არასრულყოფილად ჩატარებულმა გარემოზე ზემოქმედების შეფასებამ და ხელისუფლების უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებმა. გარემო პირობების უგულვებელყოფით, მხოლოდ მაქსიმალურ ეკონომიკურ სარგებელზე გათვლილი პროექტები საბოლოო ჯამში არა მხოლოდ ბუნებრივ და სოციალურ გარემოს აყენებენ ზიანს, არამედ სერიოზული ეკონომიკური ზიანის მომტანიც არიან. დაუფიქრებლად ინიცირებული პროექტების კიდევ ერთ თვალნათელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ენერგეტიკის სამინისტროს მიერ პოტენციური ჰესების ნუსხაში შეტანილი ამალი ჰესი - ენერგეტიკის სამინისტრო ამ ტრაგედიის გამომწვევ ღვარცოფულ მდინარეზე ჰესის მშენებლობას მიიჩნევს ინვესტიციებისათვის მიმზიდველ პროექტად.<sup>5</sup>**

<sup>5</sup>იხ. [http://www.energy.gov.ge/investor.php?id\\_pages=19&lang=geo](http://www.energy.gov.ge/investor.php?id_pages=19&lang=geo)